



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 379/ს  
08/08/2023

379-21-4-202308081414



**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ კურორტ ბახმაროს საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ**

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ (ს/კ: 412670097) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2023 წლის 28 აპრილს (წერილი N3677) წარმოდგენილია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროს საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის (ბრძანება N202/ს; 08/05/2023) შექმნა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი - ეკომეტრის“ მიერ.

2021 წლის 15 აპრილს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სამინისტროში წარმოადგინა სკოპინგის ანგარიში, რაზეც სამინისტროს მიერ სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (ბრძანება N 2-1076, 15/07/2021, სკოპინგის დასკვნა №33 (12.07.2021)).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ დაგეგმილია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროს წყალარინების სისტემის და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაცია.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ამჟამად კურორტ ბახმაროს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა არ გააჩნია და დაბინძურებული სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები გაწმენდის გარეშე ჩაედინება ზედაპირული წყლის ობიექტში - მდ. ბახვისწყალში. შესაბამისად, ბახმაროში ჩამდინარე წყლების არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათ შორის ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების, ასევე ნიადაგის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად, პროექტის ფარგლებში დაიგეგმა ჩამდინარე წყლების სისტემების მოწყობა, რომელიც ითვალისწინებს წყალარინების ქსელის, მაგისტრალური კოლექტორისა და ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი

ნაგებობის მშენებლობას. დოკუმენტაციის თანახმად, პროექტის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება ადგილობრივი მოსახლეობის სანიტარული მდგომარეობა, რაც დადებით ზეგავლენას იქონიებს რეგიონზე ტურისტული თვალსაზრისით. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო წყალარინების ქსელისა და კოლექტორის და გამწმენდი ნაგებობის გენერალური გეგმები.

გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ პროექტის შემუშავებამდე შეფასდა არსებული საკანალიზაციო ქსელის მდგომარეობა. გარდა ამისა, გამწმენდი ნაგებობის საპროექტო წარმადობის შესარჩევად გამოთვლილ იქნა წყალმოხმარებაზე და შესაბამისად წყალარინებაზე მოთხოვნილება, როგორც მოსახლეობის, ასევე ტურისტული პოტენციალის ზრდის გათვალისწინებით. დოკუმენტის თანახმად, 2020 წლის მონაცემებით კურორტ ბახმაროს ადგილობრივი მოსახლეობა 650 ადამიანს შეადგენს, რომლებიც ზამთრის, შემოდგომისა და გაზაფხულის სეზონზე ჩადის დაბა ჩოხატაურსა და მიმდებარე ქვედა ზონის სოფლებში, ხოლო ზაფხულის განმავლობაში დამსვენებლებისა და ადგილობრივების რაოდენობა 12,700 კაცია, რაც, 2050 წლის პროგნოზით - 15,000 კაცს მიაღწევს. შესაბამისად, ქსელში ჩასართავი საერთო მოსახლეობის ექვივალენტი განისაზღვრა 15,000 ადამიანით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროექტით გათვალისწინებული გამწმენდი ნაგებობის განთავსება დაგეგმილია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, კურორტ ბახმაროში, მდ. ბახვისწყლის მარცხენა ნაპირის ზედა ტერასაზე ზღვის დონიდან 1785 მეტრზე, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ, 5723 მ<sup>2</sup> ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 28.25.02.743), რომლის კაპიტალში შეტანის პროცედურები შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ უკვე დაწყებული აქვს. საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X - 276804.261, Y - 4636866.473; X - 276804.261, Y - 4636916.575; X - 276706.388, Y - 4636916.575; X - 276706.388, Y - 4636858.105; X - 276804.261, Y - 4636858.105; X - 276804.261, Y - 4636860.480. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, უახლოესი დასახლებული პუნქტი საპროექტო გამწმენდი ნაგებობის განთავსების ტერიტორიიდან დაცილებულია დაახლოებით 650 მეტრით, სახელმწიფო ტყის ტერიტორიები - 100 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, - მდ. ბახვისწყალი, საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 70 მეტრით.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, გამწმენდი სისტემის შემადგენლობაში შევა შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტები: 2400 მ<sup>3</sup>/დღ და 150 მ<sup>3</sup>/დღ წარმადობის N1 და N2 ბიორეაქტორები, მათანაბრებელი ავზი, სადაც მოხდება მექანიკური მინარევებისგან გასუფთავებული ნედლი ჩამდინარე წყლის გადასვლა. ჩამირული ტიპის მკვებავი ტუმბოები, მათანაბრებელ ავზსა და ბიოლოგიურ რეაქტორს შორის დამონტაჟებული ხარჯმზომები, რადიალური ვერტიკალური სალექარი, ტექნიკური შენობები, მათ შორის გისოსებიანი შენობა და ლამის ბაქნისთვის განკუთვნილი შენობა. ბიორეაქტორები აღჭურვილი იქნება აერირებული ბიოფილტრებით და გამოყენებული იქნება სეზონურად. აღნიშნული ბიორეაქტორებიდან პირველი განთავსებული იქნება 400 მ<sup>2</sup> ფართობზე (15.7X25.5X5მ.) და მისი დღელამური ხარჯი შეადგენს 2400 მ<sup>3</sup>-ს, ხოლო მეორე ბიორეაქტორი - 46,17 მ<sup>2</sup> ფართობის ტერიტორიაზე (8.1X5.7X3.3მ) და მისი დღელამური ხარჯი შეადგენს 150 მ<sup>3</sup>-ს. პირველი, 2400 მ<sup>3</sup>/დღ წარმადობის ბიორეაქტორი კურორტს მოემსახურება ზაფხულის პერიოდში, ხოლო მეორე, 150 მ<sup>3</sup>/დღ წარმადობის ბიორეაქტორი - გაზაფხულის, შემოდგომისა და ზამთრის პერიოდში. გამწმენდის მოწყობის ტერიტორიასა და მდინარეს შორის მოეწყობა 6.40 მ სიმაღლის, რკინაბეტონის კაპიტალური კედელი. ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობიდან გამოსული

გაწმენდილი წყლების ჩაშვება მოხდება მდინარე ბახვისწყალში, X – 276727, Y – 4637018 კოორდინატზე. ჯამურად საპროექტო გამწმენდი ნაგებობის განაშენიანების ფართობი 2747 მ<sup>2</sup>-ს შეადგენს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროექტი ითვალისწინებს ერთიანი წყალარინების მილსადენების ქსელის მოწყობას, რისთვისაც გამოყენებული იქნება d=200; d=250; d=300; d=400მმ გოფირებული პოლიეთილენის SN8 მარკის მილები (ჯამური სიგრძე = 47199 მ). დოკუმენტის მიხედვით, რადგან კურორტის ტერიტორიაზე ჩაყინვის მაქსიმალური სიღრმე 1,33 მ-ია, მილების საწყისი ჩაღრმავება და ჭების სიღრმე იქნება აღნიშნულ მაჩვენებელზე 0,5 მეტრით მეტი და დაახლოებით 1,8 მ-ს შეადგენს. ამასთან, რელიეფური პირობების გათვალისწინებით, დიდი სიჩქარეების თავიდან აცილების მიზნით, მოწყობა კანალიზაციის ვარდნის ჭები (1 მ დიამეტრის, 1380 ერთეული; 1,5 მ დიამეტრის 200 ერთეული) შიგა დგარით. კურორტ ბახმაროს ყველა უბანში მოწყობა თვითდენითი წყალარინების შემკრები კოლექტორები 200-300 მმ დიამეტრით, ხოლო სახლებთან დაერთების მილების დიამეტრი 150 მმ იქნება (ჯამური სიგრძე = 62000 მ). მთავარი შემკრები კოლექტორი დაპროექტებულია მდ. ბახვისწყლის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე. მარჯვენა კოლექტორი დიუკერით გადაკვეთს მდინარეს, მიუერთდება მარცხენა კოლექტორს და გაერთიანებული d = 400 მმ მილსადენით თვითდენით მიუერთდება წყალარინების გამწმენდ ნაგებობებს.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოდან წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის 979 გრძ. მეტრი წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. კერძოდ, მდებარეობს ჩოხატაურის სატყეო უბნის ბახმაროს სატყეოს კვარტალ N11-ის ლიტერ N14;15;18-ში; კვარტალ N12-ის ლიტერ N14-ში; კვარტალ N14-ის ლიტერ N5;15;23-ში; კვარტალ N16-ის ლიტერ N2;4-ში და კვარტალ N18-ის ლიტერ N6-ში. აგრეთვე 979 გრძ. მეტრი ზედდებაშია სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ შემდეგ მიწის ნაკვეთებზე: ს/კ N28.25.02.762; ს/კ N28.25.02.761; ს/კ N28.25.02.760; ს/კ N28.24.22.375; ს/კ N28.25.04.140; ს/კ N28.25.01.300 და ს/კ N28.25.02.759. ზემოაღნიშნული საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან. გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის „მპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისთვის“ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, გურიის სატყეო სამსახურის ჩოხატაურის სატყეო უბანში, 2172 კვ.მ. მიწის ფართობზე განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ“ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ბრძანება N714/ს. ბრძანების თანახმად, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება გაცემულია ხე-ტყის ჭრის ნებართვის გარეშე.

კურორტ ბახმაროს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისთვის შერჩეულ იქნა ინტეგრირებული სივრცითი-კონიუგირებული ბაქტერიული სისტემის (ISBS) ბიოტექნოლოგია, რომელიც მიმდინარეობს მოდულური ტიპის კომბინირებულ ბიოლოგიურ რეაქტორში (MCBR). MCBR არის ბეტონის ან ლითონის ავზი, რომელიც შედგება რამდენიმე ტექნოლოგიური განყოფილებისაგან, რომელშიც განთავსებულია შექმნილი, ჩამონტაჟებული და რეგულირებადი, ჰაერის აერაციის სისტემით აღჭურვილი TOP ბიოკასეტის მოდული მრავალმრიანი დინამიური ინერტული ბიოფილტრით და დიფუზორებით; დოკუმენტის თანახმად, ISBS ბიოტექნოლოგია ორგანული და არაორგანული დაბინძურებისგან ჩამდინარე წყლების ღრმა გაწმენდის საშუალებას

იძლევა ჭარბი აქტიური ლამის ზრდის, ბიოლოგიური აქტივირებული ლამის დაგროვების და შესაბამისად, გაწმენდილი წყლის მყარი და თხევადი ფაზის გამოყოფის საჭიროების გარეშე.

საპროექტო ნაგებობაში ჩამდინარე წყლების გასაწმენდად გამოყენებული იქნება მრავალსაფეხურიანი აერობული ბიოლოგიური პროცესი, პირველადი ანაერობული სალექარების გარეშე. ჩამდინარე წყლების გაწმენდა წარიმართება სხვადასხვა ტიპის მიკროორგანიზმების გამოყენებით, რომლებიც მობილიზებული იქნება სინთეტიკურ, ინერტულ ბიოკასეტებზე. დამუშავებული წყალი მიედინება მონაკვეთიდან მონაკვეთზე თვითდინებით. ტექნოლოგიური პროცესით განსაზღვრულ მონაკვეთებში, მოწოდებული ჟანგბადის რაოდენობისა და ბიომატარებელზე ბიომასის სისქის შესაბამისად, ხდება ნიტრიფიკაცია და დენიტრიფიკაცია. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დანადგარის ნორმალური ფუნქციონირება დამოკიდებულია ჰაერის უწყვეტ მომარაგებაზე, რაც აუცილებელია მიკროორგანიზმების სასიცოცხლო აქტივობის უზრუნველსაყოფად.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ჩამდინარე წყლების გაწმენდი ნაგებობის ბიოლოგიური დანადგარის ტექნოლოგიური ციკლის გამართვის სამუშაოები ითვალისწინებს ჩამდინარე წყლების ხარჯის თანდათანობით გაზრდას, რათა მოხდეს აქტიური ლამის კონცენტრაციის ზრდა ბიორეაქტორში მის საპროექტო პარამეტრებამდე მისაყვანად. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ტრადიციული ბიოლოგიური ჩამდინარე წყლების გაწმენდასთან შედარებით, ISBS ბიოტექნოლოგიაში ზედმეტი გააქტიურებული შლამის გამომუშავება შემცირებულია 100-300-ჯერ. ასევე, მცირდება შეჩერებული მყარი ნივთიერებების მოცილება და ჟანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნილება. აგრეთვე, წყლის გაწმენდის სქემა არ ითვალისწინებს დამატებითი სატუმბოს და ჩამდინარე წყლების დალექვის დამატებით სისტემებს. ამასთან, მცირდება ჩამდინარე წყლების გაწმენდის დრო და ოპერაციული ხარჯები. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, წყლის გაწმენდის პროცესს არ ახასიათებს უსიამოვნო სუნნი.

ISBS ტექნოლოგიის მოთხოვნების შესაბამისად, ჩამდინარე წყლების გაწმენდის პროცესი ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით: ჩამდინარე წყლები შუალედური წყალშემკრები ჭების საშუალებით გადის გაწმენდი ნაგებობის მთავარ სატუმბო სადგურს და გადაინაცვლებს მიმდებ კამერაში, სადაც გადის მექანიკურ წმენდას. მექანიკური დასუფთავების განყოფილება შედგება თანმიმდევრულად დაყენებული ავტომატიზირებული მიკროეკრანირებისგან, ბოლო მიკროელემენტის ფილტრის ხვრელების ზომით არაუმეტეს 1 ~ 2 მმ და ქვიშის დამჭერისგან. მექანიკურად დამუშავებული ჩამდინარე წყლები ბიოლოგიური დამუშავების ეტაპზე გადასვლამდე ჩაედინება მათანაბრებელ ავზში, საიდანაც მკვებავი ტუმბოების საშუალებით უწყვეტად მიეწოდება MCBR რეაქტორს. დოკუმენტის თანახმად, ჩამდინარე წყლის შემადგენლობის მიხედვით, MCBR იყოფა აერობულ ზონებად და ანოქსიის ზონებად, რომელთა თანაფარდობა შეიძლება განსხვავდებოდეს დაბინძურების ხასიათისა და რაოდენობის მიხედვით. მიკროორგანიზმების იმობილიზაცია და ადაპტაცია თითოეული MCBR მონაკვეთის წყლის გარემოში ხდება დინამიური ბიოფილტრის ინერტულ ზედაპირზე, რომელიც მოქმედებს როგორც მიკროორგანიზმების იმობილიზატორი და ქმნის სამგანზომილებიან მოცულობას, რომელიც ივსება წყლის ორგანიზმებით. ბიოფილტრი შექმნილია ისე, რომ მისი დახმარებით, აგრეთვე მოწოდებული ჰაერის შეზღუდვით და დაბინძურების რაოდენობით, შეიქმნას გარკვეული გარემო და მიკროორგანიზმების სახეობრივი მრავალფეროვნება, რომლებიც მონაწილეობენ ორგანული და არაორგანული დაბინძურების ბიოლოგიური დაშლის პროცესში. მუნიციპალური ჩამდინარე წყლების დაყოვნების საშუალო დრო MCBR-ში არის 8-14

საათი, რაც დამოკიდებულია ორგანული ჩამდინარე წყლის ხარისხზე. ნაგებობაში გაწმენდილი წყლები ჩაშვებული იქნება მდ. ბახვისწყალში.

გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სარემონტო სამუშაოების ან ელექტროენერჯის შეწყვეტის შემთხვევაში გათვალისწინებულია სათადარიგო ხაზის ამუშავება და დიზელ-გენერატორის ავტომატური ჩართვა ობიექტის ენერჯით მოსამარაგებლად, რაც განაპირობებს გამწმენდი ნაგებობების ტექნოლოგიური ციკლის მდგრადობას. ავარიული დიზელის გენერატორი მდებარეობს ბიორეაქტორის გვერდით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, გამწმენდი ნაგებობაში მოხვედრილი მასის გაწმენდისა და დალექვის შემდეგ მიიღება 0,72 მ<sup>3</sup>/დღე გაუწყლოებული ნალექი (262 მ<sup>3</sup>/წელ). აღნიშნული ნალექის დასაწყობებისათვის მოწყობილი იქნება ორი, 6X12 ზომის დახურული მოედანი (კოორდინატები: X - 276789.32; Y - 4636898.49 (N1); X - 276774.00; Y - 4636901.00 (N2)) სადაც მოხდება გამომშრალი, დაპრესილი ნალექის დაგროვება-დასაწყობება მშრალად და წელიწადში ორჯერ გატანა. გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ნაგებობის ექსპლუატაციის შედეგად წარმოქმნილი მცირე რაოდენობის ლამის ქიმიური დაბინძურების რისკი ნაკლებ მოსალოდნელია, თუმცა ნაგებობის ექსპლუატაციაში შესვლისა და ლამის წარმოქმნის შემდგომ, განხორციელდება ლამის შემადგენლობის ფიზიკურ/ქიმიური მახასიათებლებისა და ჟონვადობის არასახიფათო თვისებების დადასტურება შესაბამისი ანალიზით, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, განისაზღვრება შემდგომი შესაბამისი ღონისძიებები

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია პროექტის ალტერნატიული ვარიანტები და განხილულია არაქმედების, გამწმენდი ნაგებობისა და საკანალიზაციო სისტემის განთავსების ტერიტორიის ალტერნატივები. ანგარიშში აღნიშნულია, რომ არაქმედების, ანუ ნულოვანი ალტერნატივა პროექტის განხორციელებაზე უარის თქმას გულისხმობს, რის შედეგადაც ბახმაროს საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების მართვის საკითხის პრობლემა კვლავ გადაუჭრელი დარჩება. დოკუმენტაციაში განხილულია გამწმენდი ნაგებობის განთავსების ალტერნატივები და აღნიშნულია, რომ კურორტ ბახმაროს ტერიტორია ხასიათდება რთული რელიეფით, ტერიტორიის დიდი ნაწილი წარმოადგენს კერძო საკუთრებას, ან ტყის მასივითაა დაფარული, შესაბამისად დაგეგმილი პროექტის განხორციელების უზრუნველსაყოფად შეირჩა ისეთი ტერიტორია, რომელიც ნაკლებ ზემოქმედებას მოახდენდა გარემოს არსებულ მდგომარეობაზე და იმავდროულად იქნებოდა სახელმწიფო საკუთრებაში. შესაბამისად, გამწმენდი ნაგებობის განთავსებისთვის შეირჩა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 28.25.02.743).

გამწმენდი ნაგებობის ალტერნატიული ვარიანტებიდან შეირჩა ჩამდინარე წყლების დამუშავების ინტეგრირებული სივრცითი-კონიუგირებული ბაქტერიული სისტემის (ISBS) ბიოტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა თავიდან აცილებულ იქნას პრობლემები, რომლებიც მომდინარეობს ჰიდრავლიკური და დაბინძურების ხარისხის სეზონური რყევებიდან გამწმენდი ნაგებობის მუშაობის პერიოდში. გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ჰიდრავლიკური და დაბინძურების ხარისხის მნიშვნელოვანი სეზონური რყევები გავლენას არ ახდენს გაწმენდის ხარისხზე, რადგან წყლის ნაკლები ნაკადის მიწოდების ან საერთოდ არ მიწოდების შემთხვევაში, ბიოლოგიური წმენდის სისტემა ინარჩუნებს თავის ფუნქციებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ბიორეაქტორის სექციებში წყლისა და ჰაერის განახლების შემდეგ მიკროორგანიზმები აღადგენენ თავიანთ სასიცოცხლო აქტივობას 6-8 საათის განმავლობაში, ხოლო ბიორეაქტორების სექციის ჩამდინარე წყლებით შევსების შემდეგ, წმენდისთვის საჭირო

პარამეტრები საპროექტო მოცულობას რამდენიმე საათში აღწევენ. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, შერჩეული ტექნოლოგიის უპირატესობას წარმოადგენს მათ შორის ისიც, რომ დამატებითი სისტემები ჭარბი აქტიური ლამის რეცირკულაციისთვის საჭირო არ არის; ასევე, აუცილებელი არ არის ჭარბი აქტიური ლამის წმენდა; ჩამდინარე წყლების წმენდის დრო მნიშვნელოვნად მცირდება; საჭირო არ არის მრავალდონიანი ინერტული ზედაპირის პირველადი თვისებების აღდგენის სისტემები და ბაქტერიების დამატებითი კვება; აგრეთვე ნიტრიფიკაცია, დენიტრიფიკაცია და აერობული ბიომასის სტაბილიზაცია წარმოებს TOP ბიომოდულში და ტექნოლოგიას ახასიათებს შეცდომის გამომრიცხავი სისტემა, საოპერაციო უსაფრთხოება და მაღალი საიმედოობის ხარისხი; ასევე, შერჩეულ ტექნოლოგიას ახასიათებს მდგრადობა წყლის ნებისმიერი ხარისხის მაჩვენებლის მკვეთრი მერყეობისას, პროცესის სტაბილურობა და მდგრადობა, ფუნქციონალური სიმარტივე და ხანგრძლივობა; დაბალი საშუალო ენერგო ხარჯები გაწმენდილი წყლის 1 მ<sup>3</sup>-თვის; სამშენებლო ტერიტორია არ არის დიდი.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, პროექტის განხორციელების პირველ ეტაპზე დაგეგმილია სამშენებლო ბანაკის მოწყობა, შერჩეული ტერიტორიის მომზადება და ბალახეული საფარისაგან გათავისუფლება. სამშენებლო ბანაკის შერჩევა განხორციელდება კონტრაქტორი კომპანიის მიერ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ბანაკის ტერიტორიის შერჩევას გათვალისწინებული იქნება რელიეფი, საინჟინრო-გეოლოგიური პირობები, სიახლოვე სამშენებლო უბანთან, მცენარეული საფარის არარსებობა და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სიმცირე. სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მოეწყობა ავტოსადგომი, სასაწყობე მეურნეობა, საოფისე, მუშა-მოსამსახურეთა და მოსასვენებელი ოთახები და საპირფარეო. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე სამშენებლო მასალებისა და ბეტონის ხსნარის შემოტანა განხორციელდება მზა სახით, ადგილობრივი საწარმოებიდან. იმ შემთხვევაში თუკი კონტრაქტორის მიერ საჭიროდ ჩაითვლება ობიექტზე მცირე ზომის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის ან ბეტონის კვანძის განთავსება, კომპანიის მიერ უზრუნველყოფილი იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურების გავლა. მშენებლობის პროცესში გამოყენებული იქნება შესაბამისი სამშენებლო ტექნიკა: 2 ექსკავატორი, 2 ბორბლიანი მტვირთავი, 2 თვითმცლელი, ტრაქტორი და ბულდოზერი. დოკუმენტის თანახმად, სამშენებლო მასალებისა და მუშახელის ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული იქნება არსებული საავტომობილო გზები. გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ აღნიშნულ ეტაპზე საავტომობილო გზებზე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირების მიზნით გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა საკითხები, მათ შორის შემოვლითი მარშრუტების შერჩევა, მუხლუხიანი ტექნიკისა და საზოგადოებრივ გზებზე მანქანების გადაადგილების შეზღუდვა. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა არ იქნება ინტენსიური, შესაბამისად, მოსალოდნელი არ იქნება სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური მიზნებისთვის შესაძლებელია ადგილობრივი წყლის რესურსების გამოყენება. სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების შეგროვება მოხდება ბიოტუალეტების ან საასენიზაციო ორმოს საშუალებით, საიდანაც გატანილი იქნება საასენიზაციო მანქანის გამოყენებით. ხოლო ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე ჩამდინარე წყლების დაბინძურება მოსალოდნელია შემდეგი ნივთიერებებით: შეწონილი ნაწილაკები, ჟმპ, ჟქმ, საერთო აზოტი, საერთო ფოსფორი. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ვინაიდან პროექტი ითვალისწინებს ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გაწმენდის ეფექტური სისტემის მოწყობას, რომელიც ოპერირების წესების

დაცვის შემთხვევაში უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლების ნორმირებულ გაწმენდას, მდინარის წყლის დაბინძურების რისკი მინიმუმამდე იქნება შემცირებული.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ცხოველთა სამყაროზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების მიზნით პროექტის ფარგლებში განხორციელდა საპროექტო ტერიტორიის საველე კვლევა, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ აღნიშნული ტერიტორია არ წარმოადგენს ძუძუმწოვართათვის მნიშვნელოვან ჰაბიტატს. გზმ-ის ანგარიშში აგრეთვე წარმოდგენილია ინფორმაცია მდ. ბახვისწყალში არსებული იქტიოფაუნის შესახებ და აღნიშნულია, რომ აღნიშნულ მდინარეში იქტიოფაუნა წარმოდგენილია მხოლოდ ერთი სახეობით - ნაკადულის კალმახით. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მშენებლობის პერიოდში ნაკადულის კალმახზე ზემოქმედების შემცირების მიზნით გათვალისწინებულია მდინარის კალაპოტსა და მის მიმდებარედ სამუშაოების წარმოების შეზღუდვა ტოფობის, ანუ ყველაზე სენსიტიურ პერიოდში, კერძოდ 20 სექტემბრიდან - 20 დეკემბრამდე, ასევე მდინარის წყლის დაბინძურებისაგან დაცვის მონიტორინგი, ხოლო ექსპლუატაციის პერიოდში გამწმენდი ნაგებობიდან ჩამდინარე წყლების ხარისხობრივი, კერძოდ ქიმიური და მიკრობიოლოგიური პარამეტრების პერმანენტული მონიტორინგი და გავლენის არეალში იქტიოფაუნის და წყლის მაკროუხერხემლოების ხარისხობრივ-რაოდენობრივი პარამეტრების მონიტორინგი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავება.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს დაცული ტერიტორიები წარმოდგენილი არ არის. ბახმაროს ტერიტორიაზე წარმოდგენილია კულტურული მემკვიდრეობის ორი ძეგლი - „პიონერთა ბანაკი“, და „საცხოვრებელი სახლი“. დოკუმენტის თანახმად, საპროექტო გამწმენდი ნაგებობის დაშორების გათვალისწინებით (885 და 1823 მეტრი), სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე რაიმე სახის ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ ნებისმიერი სახის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ობიექტისა თუ არტეფაქტის გამოვლენის შემთხვევაში განხორციელდება შესაბამისი სამსახურის დაუყოვნებლივ ინფორმირება.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო გამწმენდი ნაგებობის როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია მავნე ნივთიერებების წარმოქმნა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა. მშენებლობის ეტაპზე მავნე ნივთიერებების წარმოქმნა მოსალოდნელია სამშენებლო ტექნიკის მუშაობისას, არასტაციონარული წყაროებიდან.

გზმ-ის ანგარიშისა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში ასახულია ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ზემოქმედების ფაქტობრივი მაჩვენებლები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. გამწმენდის ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები: აზოტის დიოქსიდი, ამიაკი, გოგირდწყალბადი, ნახშირბადის მონოქსიდი(ნახშირჟანგი), მეთანი, მეთილმერკაპტანი, ეთილმერკაპტანი. გაბნევის ანგარიშის თანახმად, გამწმენდის ექსპლუატაციის პროცესში მიმდებარე ტერიტორიის ატმოსფერული ჰაერის ხარისხი 500 მ-ნი ნორმირებული ზონის მიმართ არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს (მაქსიმალური კონცენტრაცია გოგირდწყალბადის, ზდკ-ს წილი 0,004 მგ/მ<sup>3</sup>). ამდენად გამწმენდის ფუნქციონირება არ გამოიწვევს ჰაერის ხარისხის გაუარესებას და

მიღებული გაფრქვევები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორია თავისუფალია ხე-მცენარეებისაგან და მისი ზედაპირი ძირითადად წარმოდგენილია მდინარის მიერ ჩამოტანილი ქვალორლოვანი მასალით. დოკუმენტის მიხედვით, საჭირო იქნება მხოლოდ მცირე რაოდენობის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დასაწყობება, რაც განხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ნიადაგი მოიხსნება დაახლოებით 2000 მ<sup>2</sup> ფართობზე და მისი რაოდენობა დაახლოებით 100 მ<sup>3</sup>-ს შეადგენს. სამუშაოების დასრულების შემდეგ, მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა რეკულტივაციის მიზნით გამოყენებული იქნება გამწმენდი ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიის აღსადგენად.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ის ტერიტორია, რომელიც გამოყენებული იქნება საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელ გზად, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის პროცესში საჭიროებს მოსწორებით სამუშაოებს და მოხრეშვას (საერთო სიგრძე 384 მ). მისასვლელი გზის მოსაწყობად, მისი მოსწორების სამუშაოების ჩატარებისას წარმოქმნილი ზედმეტი გრუნტი (მოცულობით 510 მ<sup>3</sup>) და საპროექტო გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანები გატანილი იქნება მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ სპეციალურ ტერიტორიაზე, ხოლო შემდგომ გამოყენებული იქნება, მათ შორის, ღრმულების, გზის ვაკისების ამოსავსებად. დოკუმენტში აგრეთვე განხილულია ნიადაგსა და გრუნტის ხარისხზე შესაძლო ზემოქმედების საკითხები და წარმოდგენილია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის ეტაპზე ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება დაკავშირებული იქნება სამშენებლო ტექნიკის მუშაობასა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებასთან. ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე - ჰაერში მბრუნების ოპერირებასთან. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან დასახლებული პუნქტის დაცილების მანძილიდან გამომდინარე, საპროექტო სამუშაოების განხორციელების არცერთ ეტაპზე უახლოეს მოსახლესთან ხმაურის დონის გადაჭარბებას ადგილი არ ექნება. დოკუმენტში აგრეთვე განხილულია ხმაურის გავრცელების დონეების ნორმირებულ ფარგლებში შენარჩუნების მიზნით გათვალისწინებული შემარბილებელი ღონისძიებები. მათ შორის მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის კონტროლი, სამუშაოების მხოლოდ დღის საათებში განხორციელება, ხმაურიანი სამუშაოების დაწყებამდე მოსახლეობის ინფორმირების უზრუნველყოფა. ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე ჰაერში მბრუნები განთავსებული იქნება დახურულ შენობაში, რომლის კედლებიც უზრუნველყოფს ბარიერის ფუნქციის შესრულებასა და ხმაურის დახშობას.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევების შედეგად რაიმე სახის გეოდინამიკური პროცესები და მოვლენები არ დაფიქსირებულა. გამოვლენილი არ ყოფილა აგრეთვე გრუნტის წყლები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე გრუნტის წყლებზე ზემოქმედების რისკები დაბალია, ხოლო მათი მინიმუმამდე შემცირების მიზნით, დოკუმენტში აგრეთვე გათვალისწინებულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროექტის განხორციელებისას, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება მოხდება

საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულ კონტეინერში და მის გატანას უზრუნველყოფს მუნიციპალური სამსახური. ხოლო სახიფათო ნარჩენები (საღებავების ნარჩენები, დაბინძურებული შესაფუთი მასალა, ზეთის ფილტრები და ა.შ.) დროებით განთავსდება სამშენებლო ტერიტორიაზე მოწყობილ სპეციალურ საცავში. ობიექტზე წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ექსპლუატაციის ეტაპზე, გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირების პროცესში, ადგილი ექნება მხოლოდ მცირე რაოდენობის ნარჩენი ლამის წარმოქმნას, რომლის ქიმიური დაბინძურებაც მოსალოდნელი არ არის. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ლამი დროებით დასაწყობებული იქნება გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე მოწყობილ სპეციალური ლამის განთავსების უბნებზე და შემდგომ გატანილი იქნება ნაგავსაყრელზე განსათავსებლად ან გადაეცემა შესაბამისი კომპანიას ინსინერაციისა და შემდგომი განთავსების მიზნით. ამასთან, დოკუმენტში წარმოდგენილ მონიტორინგის გეგმაში გათვალისწინებულია გამწმენდი ნაგებობიდან ამოღებული ლამის ნიმუშების ანალიზი ტოქსიკური მეტალების შემცველობაზე. ანალიზი განხორციელდება თავდაპირველად თვეში ერთხელ, ხოლო შემდგომ - წელიწადში ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში, თუკი ანალიზების შედეგად დადგინდება სახიფათობის მაჩვენებელი, კომპანიის მიერ, დამატებითი კვლევების, კონსულტაციებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, განისაზღვრება შესაბამისი მართვის ღონისძიებები.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, გამწმენდი ნაგებობის განთავსების ტერიტორიის სიახლოვეს არ მდებარეობს რაიმე ტიპის საწარმო, შესაბამისად, საქმიანობის განხორციელების ეტაპზე გარემოს კომპონენტებზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, გაწმენდის შერჩეული ტექნოლოგიიდან გამომდინარე, საპროექტო გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაცია ატმოსფერულ ჰაერში არასასიამოვნო სუნის გავრცელების მნიშვნელოვან რისკებთან არ იქნება დაკავშირებული. ხოლო არსებული რისკების მინიმუმამდე შემცირების მიზნით, გათვალისწინებულია შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის: გამწმენდი ნაგებობის პერიმეტრზე წიწვოვანი ნარგავების დარგვა, გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის წესების დაცვაზე ზედამხედველობა და მონიტორინგისას გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში, შესაბამისი რეაგირება. დოკუმენტის თანახმად, დაგეგმილი მონიტორინგის ღონისძიებები მოიცავს: დანადგარების ტექნიკური კონტროლის განხორციელებას, მოსახლეობის გამოკითხვას და ა.შ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა დაახლოებით 1 წელს შეადგენს, წელიწადში 250 სამუშაო დღიანი გრაფიკით. მშენებლობის დროს დასაქმებული იქნება დაახლოებით 50-70 ადამიანი. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამწმენდი ნაგებობა იმუშავებს 24 საათიანი სამუშაო გრაფიკით და დასაქმდება დაახლოებით 5-10 ადამიანი.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის, ინფორმაცია განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე და საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. ინფორმაცია გამოქვეყნდა ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და გადაიგზავნა

ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო განხილვა გაიმართა 2023 წლის 15 ივნისს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, საქმიანობის განმახორციელებელი კომპანია - შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, პროექტის მომამზადებელი კომპანიისა და საზოგადოების წარმომადგენლები. საჯარო განხილვის მსვლელობისას, დამსწრე საზოგადოების მხრიდან დაისვა კითხვები, რომლებიც ეხებოდა, მათ შორის, საპროექტო მიწის ნაკვეთის კუთვნილების საკითხსა და მშენებლობის განხორციელების ვადებს. ასევე დაისვა კითხვები კომპანიის მიერ დაგეგმილ წყალმომარაგების პროექტთან დაკავშირებით, რაც ეხებოდა ზამთრის პერიოდში სათავე ნაგებობის მოვლა-პატრონობის შესაძლებლობის, ასევე ბანძაროს ტერიტორიაზე „ორბი ჯგუფის“ მიერ დაგეგმილი განაშენიანებისთვის საჭირო წყლის შესახებ ინფორმაციის არსებობის საკითხსა და საპროექტო ნაგებობის წარმადობას. წარმოდგენილ შეკითხვებს პასუხი გასცეს პროექტის მომამზადებელი კომპანიისა და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ წარმომადგენლებმა, რომლებმაც განმარტეს, რომ საპროექტო ნაგებობა გათვლილია 15 000 ადამიანზე, რაც ალბულის იქნა გენერალური გეგმის შესაბამისად და აღნიშნული საკითხები შეთანხმებული იქნა „ორბი ჯგუფთან“, აგრეთვე, განიმარტა, რომ მშენებლობის დაწყებამდე პროექტი საჭიროებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას, მშენებლობის ნებართვასა და სხვადასხვა უწყებებთან შეთანხმებებს.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტოში პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები წარმოდგენილი არ ყოფილა.

გზმ-ის ანგარიშს თან ერთვის ინფორმაცია მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზმ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის, ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.6 ქვეპუნქტისა და ამავე დანართის მე-10 პუნქტის 10.6 ქვეპუნქტის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ კურორტ ბანძაროს საკანალიზაციო სისტემის და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის გზმ-ის ანგარიშსა და

ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმაში წარმოდგენილი ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების, შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;

4. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დაცვა სააგენტოსთან შეთანხმებული „ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმების“ შესაბამისად;
5. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს გაწმენდილი ჩამდინარე წყლების ხარისხის კონტროლი მონიტორინგის გეგმის შესაბამისად და შედეგების წელიწადში ერთხელ სააგენტოში განსახილველად წარმოდგენა, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით;
6. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრებისა და ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების დაცვა;
7. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ ექსპლუატაციის ეტაპზე განახორციელოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების (საქართველოს მთავრობის 2013 წლის №413 დადგენილება) და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში წარმოდგენილი მონიტორინგის გეგმის შესაბამისად;
8. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ სამშენებლო სამუშაოების განხორციელება უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;
9. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს სამშენებლო ბანაკის დეტალური პროექტის შემუშავება და სააგენტოში shp ფაილებთან ერთად შესათანხმებლად წარმოდგენა, ხოლო ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების მოწყობის შემთხვევაში, ასევე ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყალაღების ან/და წყალჩაშვების შემთხვევაში უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვა;
10. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, ნებისმიერი ქმედება განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს აღნიშნული საკითხის სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმება;
11. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმება და შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტის სააგენტოში წარმოდგენა;
12. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ ნარჩენების მართვა უზრუნველყოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად;

13. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
14. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
15. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“;
16. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
17. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
18. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

